



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება

№ 1-1/229

04 / მაისი / 2018 წ.

რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში „ლუხუნიჰესი 2“ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების თაობაზე ინტერესთა გამომხატვის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 10 ნოემბრის N2388 განკარგულების და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 16 მარტის N 1-1/116 ბრძანებაზე თანდართული „რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში „ლუხუნიჰესი 2“ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების თაობაზე ინტერესთა გამომხატვის პირობების“ 4.6 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. გამოცხადდეს განმეორებითი (მესამედ) ინტერესთა გამომხატვა რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში „ლუხუნიჰესი 2“ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების თაობაზე, ამ ბრძანების დანართში მოცემული პირობებით.
2. წინამდებარე ბრძანება და თანდართული „რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში „ლუხუნიჰესი 2“ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების თაობაზე“ ინტერესთა გამომხატვის პირობები განთავსდეს სამინისტროს ვებ-გვერდზე: www.economy.ge.

მინისტრი

დimitრი ქვჩიშვილი